სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
80247153536326

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება
ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
N261585214

რეგისტრაციის თარიღი
09.11.2026 წ

ნოტარიუსი: დავით წივწივაძე
მისამართი: ქალაქი თბილისი, ალექსი გობრონიძის ქუჩა, N1ა
ტელეფონი: 595075240

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდაექვსი წლის ცხრა ნოემბერს, მე, დავით წივწივაძეს, საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ალექსი გობრონიძის ქუჩა, N1ა, მომმართა თეონა ბაბლუანმა (დაბ. 11.09.1993 წ. პირადი ნომერი: 55001026597, მისამართი: თბილისი, მუხიანი, III მ/რ, კორ. 1, ბ. 73) რომელაც განაცხადა, რომ სურ მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავრწმუნდი მის პირადობაში მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად აღნიშნულმა პირმა მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში და ნების გამოვლენის ნამდვილობაში მოცემული მომენტისთვის ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მიმნდობს და განვუმარტე მისი შინაარსი, რის შემდეგაც მიმნდობმა თავადაც წაიკითხა წინამდებარე მინდობილობა და მკაფიოდ განაცხადა, რომ აღნიშნული მინდობილობა სრულებით შეესაბამება მათ ნებას.

მინდობილობა

მე, თეონა ბაბლუანი მონაცემები მითითებულია ზემოთ, შემდგომში „მიმნდობი", ბათუნა გაბუნიას (დაბ. 30.12.1981 წელს, პირადი №01003009908) შემდგომში „მინდობილი პირი", ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას: მინდობილი პირი, იყოს ჩემი წარმომადგენელი ყველა საჯარო დაწესებულებაში, ნებისმიერ სამინისტროში, ყველა ადმინისტრაციულ ორგანოში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იუსტიციის სახლში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მერიებში, გამგეობებში, საკრებულოებში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ურბანულ სამსახურში, ქალაქის სატრანსპორტო კომპანიაში, საგზაო სამსახურში, კომისიებში, მუნიციპალურ ინსპექციაში, მათ ქვემდებარე დეპარტამენტებსა და სამსახურებში, სანოტარო ბიუროში, კომუნალური მომსახურების სამსახურებში, კომპანიებში, მობილური კავშირგაბმულობის კომპანიებში, ინტერნეტ პროვაიდერებთან, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, რათა ჩემი სახელით წარადგინოს, გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი განცხადება, ამონაწერი, დოკუმენტი, გადაწყვეტილება, პროექტი, გეგმა, ნახაზი, მოაგვაროს ყველა საკითხი ჩემს საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, მუხიანი 2-ის დასახლება, ნეკრისის ქუჩა, N 82ა, ს/კ 01.72.13.474.002 ნებისმიერი სახის სამშენებლო, მათ შორის პირველი კლასის სამშენებლო, მეორე კალსის სამშენებლო, მესამე კლასის სამშენებლო, სარემონტო, სარეკონსტრუქციო, პირველი კლასის სარეკონსტრუქციო, მეორე კლასის სარეკონსტრუქციო და სხვა ნებისმიერი სახის სამუშაოების, მათ შორის დემონტაჟის სამუშაოების, მიშენებითი, დაშენებითი სამუშაოების წარმოებისათვის, წარმოებული სამუშაოების ექსპლოატაციაში მიღებისათვის, განაშენიანების გეგმის დამტკიცებისათვის იქნება საჭირო, შეათანხმოს და მიიღოს შესაბამისი ნებართვები, გააგრძელოს აღნიშნული ნებართვების ვადა, პროექტები, ესკიზები, ატვირთოს პროექტები ან/და სხვა საჭირო დოკუმენტების ელექტრონული ვერსიები, მოაგვაროს ყველა საკითხი რაც აღნიშნული ნებართვების, პროექტების, ესკიზების დამტკიცებასთან, არსებულ პროექტებში, ნებართვებში ცვლილებების შეტანასთან იქნება დაკავშირებული, მიიღოს კოეფიციენტი, ჩემი სახელით გასცეს ნებისმიერი თანხმობა მშენებლობასთან, ასევე დემონტაჟთან დაკავშირებით, შეიყვანოს კომუნალური მომსახურებები, დამარეგისტრიროს აბონენტად, მოახდინოს გამრიცხველიანება, შეიყვანოს დამატებითი წერტილები. მინდობილობით გათვალისწინებული უფლებამოსილებათა განსახორციელებლად ჩემი სახელით წარადგინოს ნებისმიერი განცხადება, მოთხოვნა, წარადგინოს გამოითხოვოს და მიიღოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა, დოკუმენტი, ნახაზი, გეგმა, პროექტი, ნებართვა, ოქმი, დააზუსტოს ფართობი, შეიტანოს ცვლილებები რეგისტრირებულ მონაცემებში, პროექტებში, აწარმოოს ადმინისტრაციული წარმოება, რა დროსაც ისარგებლოს ჩემი როგორც მხარის ყველა უფლებით, გაასაჩივროს ზემოაღნიშნული დაწესებულებების მიღებული გადაწყვეტილებები, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტებს, განცხადებებს, თანხმობებს, ნებართვებს, გადაიხადოს დადგენილი გადასახადები, ჯარიმები.

მინდობილობა გაცემულია ვადით ორიათას ოცდარვა წლის ცხრა მაისის ჩათვლით, მრავალჯერადი გამოყენების უფლებით.

რწმუნებულება გაიცემა სამ ეგზემპლიარად რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს დავით წივწივაძის სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცემა მიმნდობს. გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის #507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები"-ს შესახებ 31-ე მუხლის შესაბამისად 18 (თვრამეტი) ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის შესაბამისად 3.24 (სამი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი და 39 მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 5.00 (ხუთი) ლარი, სულ 26.24 (ოცდაექვსი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი.

ხელისმოწერა: თეონა ბაბლუანი

ნოტარიუსი: დავით წივწივაძე